ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2026 წლის 19 ივნისი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 24 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მოვლის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიმდინარე საკრებულოს სხდომას, ოჯახური პირობების გამო ვერ ესწრებოდა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე (მ. თათარიშვილი), რის გამოც დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხს წარმოადგენდა, ამავე კომისიის უხუცესი წევრი აკაკი ხურცილავა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,
საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა, საკრებულოს

განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია), წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, 2026 წლის 1 ივლისიდან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებული არიან განახორციელონ პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება ბენეფიციარებისთვის. ხობის მუნიციპალიტეტში საპროგნოზო მაჩვენებლით პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებას საჭიროებს 4 ბენეფიციარი (3 რეგულარული და 1 სპეციალიზებული). პროგრამის მიზანია პერსონალური ასისტირების საშუალებით, შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, სადაც გაწერილია დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –24, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მოვლის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მოვლის წესის დამტკიცების შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით,

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მოვლის წესში აღნიშნული იყო, უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში და დაინტერესდა თუ სად იყო თავშესაფარი?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის თავშესაფრები არ იყო, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა რეგიონში მოეწყობოდა უპატრონო ძაღლების თავშესაფრები.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია), წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით წარმოდგენილი პროექტით რეგულირდება ცხოველის მეპატრონისა და მიმკედლებლის სამართლებრივი მდგომარეობა. ამასთან, შინაურ ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, პროექტი ითვალისწინებს მათი სავალდებულო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცედურის შემოღებას. ამასთან პროექტი არ ვრცელდება სამწყემსო დანიშნულების ძაღლებზე, ასევე სპეციალური სამსახურებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკუთრებაში არსებულ ძაღლებთან დაკავშირებულ რეგულაციებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ძაღლების სტერილიზაციის/კასტრაციისა და ვაქცინაციის მიზნით ხორციელდება შესაბამისი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, თუმცა აღნიშნულმა ვერ უზრუნველყო კანონით დადგენილი კეთილდღეობის სტანდარტების სრულყოფილად დაცვა, ხოლო წინამდებარე დადგენილები პროექტით დამატებით დარეგულირდება ცხოველთა დაცვა სასტიკი მოპყრობისაგან, მოკვდინების (ევთანაზიის), კომერციული მოშენებისა და გამოყენების პირობები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –24, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილებაN10 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

აზრი გამოთქვეს: გ. ქაჯაია - გამომსვლელი დაინტერესდა ზემოთ აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან ხომ არავინ განთავისუფლებულა?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად მერიის სამსახურიდან არავინ განთავისუფლებულა, უბრალოდ მოხდა გადანაცვლებები და ვაკანტური შტატების გაუქმდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კიდევ ხომ არ ექნებოდათ კითხვები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის უხუცეს წევრს (ა. ხურცილავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ა. ხურცილავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში 2026 წლის 18 მაისიდან მიმდინარეობს რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის პირველ ეტაპზე განისაზღვრა რეორგანიზაციის ფარგლებში მერიაში განსახორციელებელი ცვლილებები, რაც იწვევს მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებებს. რეორგანიზაციის მეორე ეტაპზე - რეორგანიზაციისთვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავების ეტაპზე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარსადგენად მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. დადგენილების პროექტით მერიის საშტატო ნუსხაში გათვალისწინებულია შემდეგი სახის ცვლილებები: ა) ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული; ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილებას ემატება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული. ამასთან, ამავე სამსახურის სახაზინო მომსახურებისა და ბუღალტერიის განყოფილებაში უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული და მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული; გ) ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული გარდაიქმნება მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულად; დ) ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილებაში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული გარდაიქმნება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულად; ე) შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში

უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული; ვ) ზედამხედველობის სამსახურს ემატება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული. ამასთანავე, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული გარდაიქმნება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულად. განსახორციელებელი ცვლილებებით, მერიის საშტატო ნუსხა მცირდება 2 საშტატო ერთეულით, რის საფუძველზეც მცირდება მერიის სახელფასო ფონდის ხარჯები თვეში 2360,0 ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიგაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N11 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში შევიდა ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების შესახებ. მათი განმარტებით გოგიტა ქარჩავა დაიბადა 1987 წელს, იგი გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით,

სამშობლოს სიყვარულით და განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით. იყო წარჩინებული მოსწავლე, სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რა დროსაც განხორციელდა რუსეთის მხრიდან საქართველოზე თავდასხმა 2008 წელს, გ. ქარჩავა ამ ომში გმირულად დაიღუპა. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის". მერიის მხრიდან წარმოდგენილი წინადადება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, შესწავლილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის მიერ, აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობასთან ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენას ტერიტორიაზე არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების შესახებ. წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღების შემდეგ საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად საბოლოო გადაწყვეტილებისთვის გადაიგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში, საიდანაც მიღებული თანხმობის საფუძველზე, კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენაში არსებული N8 ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N19 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2026 წლის 19 ივნისის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გივი ლატარია
4. დოდო გაბუნია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. აკაკი მალანია
9. მიმოზა ლემონჯავა
10. ალიოშა საჯაია
11. აკაკი ხურცილავა
12. სერგო ბერაია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. მანუჩარ ქამანაია
16. მზია ლემონჯარია
17. გია წულაია
18. ზაზა ალექსანდრია
19. ლაშა ცატავა
20. ირაკლი ალანია
21. გიგა კაპანაძე
22. გურამი ქირია
23. ირაკლი სახურია
24. ნუგზარ შუშანია